ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები მიტანის მომსახურების (ე.წ. „დელივერი სერვისი“/„საკურიერო სერვისი“) საქმიანობებისთვის

დამსაქმებლის ვალდებულებები

- 20 და მეტი დასაქმებულის შემთვევაში, სამუშაოს დაწყების წინ უნდა გააკონტროლოს დასაქმებულების ჯანმრთელობის მდგომარეობა ტემპერატურის გაზომვით.
- შეიმუშაოს იმ პირთა დაუყოვნებელი იზოლაციის პოლიტიკა და პროცედურები, რომელთაც აღენიშნებათ ვირუსული ინფექციის ნიშნები ან/და სიმპტომები;
- ყოველდღიურად აღრიცხოს კურიერის გადაადგილების მარშუტი, მომხმარებლის შესახებ ინფორმაციისა და საცხოვრებელი ადგილის მითითებით;
- შეკვეთის განხორციელებამდე, შესაძლებლობის ფარგლებში მიიღოს ინფორმაცია (თვითიზოლაცია, რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები) იმ მომხმარებლის შესახებ, რომლის მომსახურება უნდა განხორციელდეს და აღნიშნულის შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია კურიერს;
- უზრუნველყოს კურიერები ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ხელთათმანი, ნიღაბი სახის ფარი/ შესაბამისი სათვალე);
- მიაწოდოს ინფორმაცია COVID-19-ის პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- უზრუნველყოს დასაქმებულები სულ მცირე 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის სადეზინფექციო საშუალებებით;
- კომპანიები, რომლებიც ახდენენ მომხმარებლისთვის ე.წ. მიტანის სერვისით მიწოდებას, ვალდებულია უზრუნველყონ შემდეგი პირობების დაცვა:
    - პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს მიწოდების სერვისს, აღჭურვილი უნდა იყოს ნიღბითა და ხელთათმანით;
    - სურსათის მიწოდების შემთხვევაში, სურსათი მოთავსებული უნდა იყოს ერთჯერად გადასატან ტარაში, ხოლო მრავალჯერადად გამოსაყენებელი კონტეინერების რეცხვა-დეზინფიცირება უნდა მოხდეს ყოველი გამოყენების შემდეგ, სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებებისათვის დაშვებული მაქსიმალური კონცენტრაციით;
    - სურსათის ტრანსპორტირებისას დაცულ უნდა იქნეს სურსათის ტემპერატურული რეჟიმი;
    - პროდუქტის/ნებისმიერი ნივთის მიწოდებისას, არსებულ შეფუთვას, გარედან უნდა დაემატოს მეორე შეფუთვა, რომლის მოხსნაც მოხდება მიმღების მიერ;
    - შეკვეთის მიღებისას, მოსთხოვოს მომხმარებელს სერვისით სარგებლობისთვის სახლის კარებთან განათავსოს სპეციალური სადგამი პროდუქტის დასადებად, უკონტაქტო გადაცემისათვის.

- უზრუნველყოს გარკვეული პერიოდულობით სატრანსპორტო საშუალებების სანიტარული დამუშავება;
- უზრუნველყოს ნაღდი ფულის გამოყენების შემცირების გზები.

დასაქმებულთა ვალდებულებები

ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება წარმოადგენს უმეტესი ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას.

შესაბამისად, აუცილებელია განახორციელოთ შემდეგი ღონისძიებები:

- დაიცავით ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო სივრცეში;
- სამუშაოს შესრულებისას გამოიყენეთ სრულად ის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელსაც გაწვდით დამსაქმებელი;
- სამუშაოს დაწყებამდე და მიმდინარეობისას გამოიყენეთ სადეზინფექციო საშუალებები სამუშაო ადგილებისა და ხელსაწყოების დასუფთავებისთვის;
- გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანასა და გაშრობას;
- მომხმარებელთან ურთიერთობისას საკვების გადაცემის დროს დაიცავით უსაფრთხო დისტანცია (არანაკლებ 2 მ);
- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას;
- წინასწარ მოსთხოვეთ შემკვეთს, სახლის კარებთან განათავსოს სპეციალური სადგამი პროდუქტის დასადებად, უკონტაქტო გადაცემისათვის.